აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 27

30 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 28 ივლისის № 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

მუხლი 1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 28 ივლისის № 2 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედება განისაზღვროს 2008 წლის 31 დეკემბრამდე“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის სასაქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია